

<p>ქუთაისში თიბისი ბიზნეს ცენტრის მშენებლობა დასრულდა!</p> <p>თიბისი ბანკის 14 მილიონ ლარიანი ინვესტიცია და 500 ადამიანის დასაქმების პერსპექტივა</p> <p><i>პრესრელიზი</i></p> <p><u>29 დეკემბერი, 2009</u> - დღეს, 14:00 საათზე, ქ. ქუთაისში თიბისი ბიზნეს ცენტრის შენობა გაიხსნება. საზეიმო ცერემონიას საქართველოს პრეზიდენტი, თიბისი ბანკის მენეჯმენტი და ხელისუფლების უმაღლესი პირები დაესწრებიან.</p> <p>თიბისი ბიზნეს ცენტრის მშენებლობაში თიბისი ბანკის მიერ ჩადებულმა ინვესტიციამ 14 მილიონი ლარი შეადგინა. ეს არის ბანკი დაფინანსებით განხორციელებული, ყიდევ ერთი მასშტაბური პროექტი, რომლითაც თიბისი ბანკმა ქუთაისელებს წინასაახალწლო საჩუქარი გაუკეთა.</p> <p>თიბისი ბიზნეს ცენტრი ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მდებარეობს და არაჩვეულებრივ არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენს. შენობის საერთო ფართობი 11 000 კვ.მ. და მომავალში აქ თიბისი ბანკის ახალი ფილიალი და ბიზნეს ცენტრი განთავსდება. თიბისი ბიზნეს ცენტრი მომსახურებას გაუწევს ათეულობით კომპანიას და 500-მდე ადამიანს დაასაქმებს.</p> <p>თიბისი ბიზნეს ცენტრის სამშენებლო სამუშაოები 18 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და პროცესში, 150 ადამიანი იყო ჩართული.</p> <p>პროექტის ავტორი გახლავთ არქიტექტორი დავით გოგიჩაიშვილი. ხოლო მშენებლობა განხორციელდა "ახალმა სამშენებლო კომპანიამ" (NCC) .</p> <p>ახალი სამშენებლო კომპანია 2005 წლიდან მოღვაწეობს და მის მიერ დღემდე განხორციელებული პროექტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე "მწვანე შენობის", თიბისი ბანკის სათავო ოფისის და ბათუმის თიბისი ფილიალის ისტორიული შენობის რეკონსტრუქცია.</p>	<ul style="list-style-type: none"> ◆ ფიზიკური პირების მომსახურება; ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება; ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება; ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა; ◆ თიდერი დეპოზიტების ბაზარზე ◆ თიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში; ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში; ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში; ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე; ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა; ◆ FitchRatings: B + and B ◆ Moody's: B 3 and Ba 1
---	---

სს „თიბისი ბანკი“ დაფუძნდა 1992 წ. და გამოირჩევა განვითარების წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. ბანკის აქციონერები: IFC, DEG, EBRD, FMO, JP Morgan, Ashmore და ქართველი კერძო პირები.